ანგარიში

ხონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2020 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ხონის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და არქიტექტურის სამსახური მუშაობას წარმართავს ხონის მუნიციპალიტეტის მერიისა და სამსახურის დებულებების, საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2020 წელს სულ ხონის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 94 პროექტი ღირებულებით 5 855 686 ლარი.

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის #23 დადგენილების შესაბამისად, 2020 წელს ხონის მუნიციპალიტეტში რგპფ-ს დაფინანსებით განხორციელდა 16 პროექტი (დანართი #1). ძირითადად მოხდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. სახელდობრ:

1. სოფელ გუბში ქუთაისი-ხონი ცენტრალური გზის მე-11 კმ-დან სოფელ დიდი ჯიხაიშის საზღვრამდე გზის მოასფალტება
2. გოჩა ჯიხაიშის ცენტრიდან სოფელ გუბის მიმართულებით გზის მოასფალტება
3. სოფელ კონტუათის ცენტრიდან რუხაძეების უბანში #2 ქუჩის მოასფალტება
4. სოფელ კონტუათის ცენტრიდან ჩარგეიშვილების უბნის გზის მოასფალტება
5. ქ. ხონში, თაყაიშვილის ქუჩის მოასფალტება
6. სოფელ მათხოჯში ბარაბაძეების უბნის გზის მოასფალტება
7. სოფელი დედალაური- ჩაის მეურნეობის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება
8. ქ. ხონში, იპ. ხვიჩიას ქუჩის პირველი შესახვევის მოასფალტება
9. მათხოჯის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ სუხჩას შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია
10. ქ. ხონში ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია
11. სოფ. ივანდიდში მე-14 ქუჩის მოასფალტება
12. სოფ ახალშენში ნამაშევის უბანში მისასვლელი გზის მოასფალტება
13. სოფ დიდი კუხის ცენტრიდან გორდაძეების უბნამდე დამაკავშირებელი გზის მოასფალტება
14. კონტუათის ცენტრიდან რუხაძეების უბანში #1 ქუჩის მოასფალტება
15. ივანდიდში მე-15 ქუჩის მოასფალტება
16. ქუთაისი-წყალტუბო-ლენტეხი-ლასდილის შიდასახელმწიფოებრივი ს/გზის 37-ე კმ-დან სოფელ ღვედის ცენტრამდე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები

საერთო ღირებულებით 4 650 037 ლარი. სულ მოასფალტებული იქნა 24 049 გრძ/მ გზა. პროექტებიდან დასრულდა 15, ხოლო მათხოჯის ადმინისტრაციულ ერთეულში

სოფელ სუხჩას შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს ამჟამად და დასრულდება უახლოეს ხანში.

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის #27 განკარგულების შესაბამისად ხონის მუნიციპალიტეტში განხორციელდა ქ. ხონის #1 საჯარო სკოლის, სოფლების ქუტირის, ძეძილეთის, ხიდის, კონტუათის საჯარო სკოლების სველი წერტილების რეაბილიატაცია. 2020 წელს დაიწყო და მიმდინარე წელს დასრულდება სოფელ ნახახულევის საჯარო სკოლის და ქ. ხონის #2 საჯარო სკოლაში სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები (დანართი #3).

სულ სკოლებში სველი წერტილების რეაბილიტაციაზე გამოყოფილი 410 000 ლარიდან საკასო შესრულებამ შეადგინა 321 158 ლარი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 აგვისტოს #1680 განკარგულების შესაბამისად მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღებში სველი წერტილებისა და სამზარეულოების რეაბილიტაციაზე გამოყოფილი იყო 448 737 ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 371 883 ლარი. სახელდობრ:

1. სოფელ მათხოჯის საბავშვო ბაღის სამზარეულოსა და სველი წერტილის რეაბილიტაცია
2. სოფელ ნახახულევის საბავშვო ბაღის სველი წერტილებისა და სამზარეულოს რეაბილიტაცია
3. სოფელ კონტუათის საბავშვო ბაღის სველი წერტილებისა და სამზარეულოს რეაბილიტაცია
4. ხონის N3 საბავშვო ბაგა ბაღის სამზარეულოსა და სველი წერტილის რეაბილიტაცია
5. სოფელ ნამაშევის საბავშვო ბაღის სამზარეულოსა და სველი წერტილის რეაბილიტაცია
6. სოფელ ივანდიდის საბავშვო ბაღის სამზარეულოსა და სველი წერტილის რეაბილიტაცია
7. სოფელ ქუტირის საბავშვო ბაღის სამზარეულოსა და სველი წერტილის რეაბილიტაცია
8. სოფელ კუხის საბავშვო ბაღის სამზარეულოსა და სველი წერტილის რეაბილიტაცია

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის #2752 განკარგულების შესაბამისად, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 2020 წელს გამოყოფილი 470 000 ლარიდან სოფლებში მოეწყო გარე განათების სისტემები, კეთილმოეწყო შიდა სასოფლო გზები და განხორციელდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები (დანართი #4).

ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა ორი პროექტი ღირებულებით 40 847 ლარი (დანართი #5). სახელდობრ:

1. ქ. ხონში, ჭანტურიას ქუჩაზე არსებული მესამე უბნის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია
2. ხონის მუნიციპალიტეტში სოფელ მათხოჯში ბარაბაძეების უბანსი სასაფლაოსთან მისასვლელი გზის (100 გრძ/მ) ბეტონის საფარის მოწყობა

2020 წელს მომზადებულ იქნა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და 2021 წელს დაიგეგმა შემდეგი პროექტების განხორციელება:

1. სოფელ პატარა ჯიხაიშში სოფელ გოჩა ჯიხაიშისკენ მიმავალი გზის მოასფალტება
2. სოფელ გუბში მეორე ქუჩის მოასფალტება
3. სოფელ საწულუკიძეოში წმინდა ნინოს ქუჩისა და საწულუკიძეოს ცენტრის დამაკავშირებელი გზის მოასფალება
4. სოფელ ნახახულევში 1 და მე-10 ქუჩების მოასფალტება (შიდა უბანი)
5. ქ. ხონში, წერეთლის ქუჩის რეაბილიტაცია და შესახვევის მოასფალტება
6. ქ. ხონში გორგასლის ქუჩის მეორე შესახვევის მოასფალტება
7. ქ. ხონში თამარ მეფის პირველი შესახვევისა და ჩიხის მოასფალტება

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-სა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესი და პირობები “-ს შესაბამისად:

2020 წელს გაცემულია 12 მე-2, მე-3 და მე-4 კლასის მშენებლობის ნებართვა (პირველი და მე-2 სტადია), ხოლო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დამტკიცდა პირველ სტადიაზე 6 ობიექტისთვის.

1. ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. კუხში მდებარე კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში (ს/კ 37.09.37.321) ავტოგასამართი სადგურის მშენებლობის ნებართვა (მე-4 კლასი).
2. ქ. ხონი, ჭანტურიას ქუჩის №11-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში (ს/კ 37.07.38.588) კომერციული ობიექტის (საწყობი) მშენებლობის ნებართვა (მე-3 კლასი)
3. ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. გოჩა ჯიხაიშში მდებარე შპს „მაგთიკომი“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 37.11.31.252) საბაზო სადგურის „ხონი-გოჩა ჯიხაიში“-ს მშენებლობის ნებართვა (მე-4 კლასი)
4. ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. კუხში მდებარე შპს „მაგთიკომი“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 37.09.31.377) საბაზო სადგურ „დიდი კუხი“-ს მშენებლობის ნებართვა (მე-4 კლასი)

5. ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. საწულუკიძეოში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში (ს/კ 37.05.37.004) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციაზე მშენებლობის ნებართვა (მე-2 კლასი)
6. ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობის ნებართვა (მე-2 კლასი)
7. ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. დედალაურში გაზმომარაგებისთვის მიწისქვეშა საშუალო წნევის პოლიეთილენისა და მიწისზედა საშუალო წნევის ფოლადის გაზსადენების მშენებლობისათვის მშენებლობის ნებართვა (მე-3 კლასი)
8. ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. გორდში მდებარე მიწის ნაკვეთში (ს/კ 37.02.31.636) ხილის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობის ნებართვა (მე-3 კლასი)
9. ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. მათხოჯში მდებარე მიწის ნაკვეთში (ს/კ 37.07.37.012) მერქნული რესურსების დასაწყობების ადგილის - საქმიანი ეზოს მოწყობისთვის კოტეჯის მშენებლობა.
10. ქ. ხონი, ჭანტურიას ქუჩის №80-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 37.07.45.747) კომერციული ობიექტის (ავტოპროფილაქტიკა) მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ (მე-2 კლასი).
11. ქ. ხონი, ნუცუბიძის ქუჩის #6-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში (ს/კ 37.07.37.405) ინდივიდუალური, ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა (მე-2 კლასი)
12. ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. პატარა ჯიხაიშში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში (ს/კ 37.10.36.038) ტიპიური ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა (მე-2 კლასი).
13. ქ. ხონი, ნიკოლძის ქუჩის #24-ში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 37.07.44.044) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების (მე-2 კლასი).
14. ქ. ხონი, ჭანტურიას ქუჩა #5-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 37.07.38.106) კომერციულ ობიექტზე მოშენებისათვის დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (მე-2 კლასი).
15. ქ. ხონი, კაკაბაძის ქუჩის #6,(8)-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 37.07.38.830) კომერციული ობიექტის (მაღაზია) მშენებლობისთვის დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (მე-2 კლასი).
16. ქ. ხონი, იპ. ხვიჩიას ქუჩის მე-2 შესახვევის #1-ში, ხონის სათემო განათლების ცენტრის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 37.07.34.127) ხე-მასალის გადამამუშავებელი საამქროს მშენებლობისთვის დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (მე-2 კლასი).
17. ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. კინჩხაში მდებარე ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლის ვიზიტორთა ცენტრის ტერიტორიაზე (ს/კ 37.01.31.142) კაფეტერიის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ გაიცა ახალი ბრძანება (მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლამდე არ მიმართა მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს, რაც საქართველოს კანონის

„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს 117-ე მუხლით ითვალსწინებს მშენებლობის ახალი ნებართვის გაცემას).

18. ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. კუხში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 37.09.37.321) ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისათვის დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა გაუგრძელდა 5 ობიექტს:

1. 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „მარტვილი-1“; დაფარვის ზონა: მარტვილი, ხონი (ს/კ 41.00.205) ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობა,
2. ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. გორდში მდებარე კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში სასტუმროს მშენებლობა,
3. ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩაის მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთში (ს/კ 37.06.32.168) კერძო საკუთრებაში არსებული ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკის მშენებლობა,
4. ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. გორდში მდებარე კერძო საკუთრებაში არსებული სასტუმროს მშენებლობა,
5. ქვეყანაში შექმნილი ფორსმაჟორული მდგომარეობიდან გამომდინარე, მოცემულ ვადაში ვერ მოხერხდა ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. კინჩხაში, ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლის ვიზიტორთა ცენტრის ტერიტორიაზე (ს/კ 37.01.31.142) კაფეტერიის მოწყობა.

ძალადაკარგულად გამოცხადდა 1 ობიექტის მშენებლობის ნებართვა:

1. ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. კინჩხაში სასტუმროს მშენებლობა (ქ. მარტვილში მცხოვრები სოსო დარცმელიძე.

მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში 2019 წლის 31 მაისის N 257 დადგენილების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესის პირველ სტადიაზე მონაწილეობა იქნა მიღებული მე-5 კლასის ხონის მუნიციპალიტეტში, სოფელ გორდიში, ოკაცეს კანიონის ბუნებრივი ძეგლი (ს/კ 37.03.32.018) საბაგირო საფეხმავლო ბილიკის (ხიდი) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების საკითხში.

მშენებლობის ნებართვა გაიცა სოფ. დედალაურის მოსახლეობის გაზიფიცირებისათვის 17 463 გრძმ. ხაზის მშენებლობაზე. (მიწისქვეშა საშუალო წნევის პოლიეთილენისა და მიწისზედა საშუალო წნევის ფოლადის გაზსადენების მშენებლობა)

ახალი აბონენტის გარე ელექტრომომარაგების უზრუნველყოფისთვის მარტივი შეტყობინების წესით შეთანხმებულია 18 ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, გაზმომარაგების 7 ობიექტისა და ინტერნეტის უზრუნველსაყოფად 14 ოპტიკურ-ბოჭკოვანი ხაზის მშენებლობა.

ასევე მარტივი შეტყობინების წესით შეთანხმებულია 17 პირველი კლასის შენობა/ნაგებობა.

აქედან შემოსულმა მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის ოდენობამ 2020 წელს ჯამში შეადგინა 29 850,21 ლარი. მოსაკრებლის ოდენობა განსაზღვრულია ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 16 მაისის №39 დადგენილებით, განაშენიანების ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 1 (ერთი) ლარის ოდენობით.